

შპს „ლგ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგება

*2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9–24

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ლგ გრუპი“

ხელმძღვანელობას და პარტნიორს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ლგ გრუპის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, პირობითი მოსაზრების საფუძველის აბზაცში აღწერილი საკითხების შესაძლო გავლენის გარდა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში „მსს ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

საანგარიშგებო პერიოდის დასასრულში ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა, დავსწრებოდით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ფიზიკურ დათვალიერებას. ასევე ვერ შევძელით ალტერნატიული გზებით აღნიშნული მარაგების რაოდენობებისა და შესაბამისი ღირებულების დადასტურება, რომლებიც კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს 11,414 ათასი ლარის ღირებულებით. შედეგად, ვერ დავადგინეთ, რამდენად არსებობდა კორექტირების საჭიროება აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებთან დაკავშირებით.

საანგარიშგებო პერიოდის დასასრულში ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა, დავსწრებოდით ძირითადი საშუალებების ფიზიკურ დათვალიერებას. გარდა მიწისა და შენობისა, ვერ შევძელით ალტერნატიული გზებით აღნიშნული ძირითადი საშუალებების რაოდენობებისა და შესაბამისი ღირებულების დადასტურება, რომლებიც კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს 4,669 ათასი ლარის ღირებულებით. შედეგად, ვერ დავადგინეთ, რამდენად არსებობდა კორექტირების საჭიროება აღრიცხულ ან აღურიცხავ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ დავრწმუნდით გაცემული სესხების სამართლიანი ღირებულებით შეფასების სისწორეში. გაცემული სესხების ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 3,376 ათას ლარს. შედეგად, ჩვენ ვერ დავადგინეთ, რამდენად საჭიროებდა ურთიერთდამოკიდებულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთები კორექტირებას.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი სხვა აუდიტორმა ჩაატარა, რომელმაც პირობითი დასკვნა მასზე 2022 წლის 31 ოქტომბერს გამოსცა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩავატაროთ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გამოვუშვათ აუდიტორის დასკვნა. თუმცა ჩვენი ანგარიშის ნაწილში, სახელწოდებით „პირობითი მოსაზრების საფუძველი“, განხილული საკითხის გამო ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, რის საფუძველზეც გამოვთქვით პირობითი აუდიტორულ მოსაზრება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (ბესსს-ის კოდექსი) და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- როგორც აღვნიშნეთ ჩვენი დასკვნის აბზაცში „პირობითი მოსაზრების საფუძველი“, ჩვენ ვერ შევძელით 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების, ძირითადი საშუალებებისა და გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით. ამის შედეგად ვერ მოვახერხეთ იმის განსაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებების შეტანა საბალანსო ღირებულების შესაბამის მუხლებში. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით დასკვნა გამოგვეტანა იმის თაობაზე, შეიცავდა თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებით უზუსტობას ამ საკითხთან მიმართებით.

მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

20 მაისი, 2024

თბილისი, საქართველო

აუდიტორული ფირმის რეგისტრაციის ნომერი : **SARAS-F-320544**

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: **SARAS-A-865011**



შპს „ლგ გრუპი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	შენიშვნები	2022 წ.	2021 წ.
შემოსავალი	4	12,893	19,236
თვითღირებულება	5	(10,595)	(14,765)
საერთო მოგება		2,298	4,471
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1,281)	(1,075)
საოპერაციო მოგება		1,017	3,396
სხვა ხარჯები	7	(577)	(530)
სხვა შემოსავალი	7	265	284
მოგება/ზარალი საკუთროსო სხვაობიდან		18	2
მოგება დაბეგვრამდე		723	3,152
მოგების გადასახადი		(214)	(40)
წლის წმინდა მოგება		509	3,112

შპს „ლგ გრუპის“ სახელით ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2024 წლის 20 მაისის შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

_____ მალხაზი როსტიაშვილი

ფინანსური განყოფილების უფროსი

_____ ალექსანდრე ალიმბარაშვილი

შპს ლგ გრუპი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	შენიშვნები	2022 წ.	2021 წ.
შემოსავალი	4	12,893	19,236
თვითღირებულება	5	(10,595)	(14,765)
საერთო მოგება		2,298	4,471
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1,281)	(1,075)
საოპერაციო მოგება		1,017	3,396
სხვა ხარჯები	7	(577)	(530)
სხვა შემოსავალი	7	265	284
მოგება/ზარალი საკუთროსო სხვაობიდან		18	2
მოგება დაბეგვრამდე		723	3,152
მოგების გადასახადი		(214)	(40)
წლის წმინდა მოგება		509	3,112

შპს „ლგ გრუპის“ სახელით ხელმოწერილი და გამოსაცემად წებადართულია 2024 წლის 20 მაისის შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



ფინანსური განყოფილების უფროსი

[Handwritten signature]

მალხაზი როსტიაშვილი

[Handwritten signature]

ალექსანდრე ალიმბარაშვილი

შპს „ლგ გრუპი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარში

	შენიშვნები	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	8,075	8,327
გრძელვადიანი გაცემული სესხი	9	3,058	2,799
არამატერიალური აქტივები		-	1
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,133	11,127
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	10	11,414	9,600
საგადასახადო აქტივები	11	1,315	957
სავაჭრო მოთხოვნები	12	532	1,171
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	8	254
გაცემული სესხი	9	318	107
გადახდილი ავანსები	14	302	739
წინასწარ გადახდილი მომსახურება		33	40
სულ მოკლევადიანი აქტივები		13,922	12,868
სულ აქტივები		25,055	23,995
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2	2
გაუნაწილებელი მოგება		12,947	13,906
სულ საკუთარი კაპიტალი		12,949	13,908
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	15	72	1,043
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		72	1,043
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	15	1,495	987
სახელშეკრულებო ვალდებულებები	16	9,835	7,803
სავაჭრო ვალდებულებები	17	697	248
საგადასახადი ვალდებულებები		-	6
თანამშრომლების მიმართ ვალდებულებები		7	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		12,034	9,044
სულ ვალდებულებები		12,106	10,087
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		25,055	23,995

შპს „ლგ გრუპი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარში

	შენიშვნები	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	8,075	8,327
გრძელვადიანი გაცემული სესხი	9	3,058	2,799
არამატერიალური აქტივები		-	1
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,133	11,127
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	10	11,414	9,600
საგადასახადო აქტივები	11	1,315	957
სავაჭრო მოთხოვნები	12	532	1,171
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	8	254
გაცემული სესხი	9	318	107
გადახდილი ავანსები	14	302	739
წინასწარ გადახდილი მომსახურება		33	40
სულ მოკლევადიანი აქტივები		13,922	12,868
სულ აქტივები		25,055	23,995
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2	2
გაუნაწილებელი მოგება		12,947	13,906
სულ საკუთარი კაპიტალი		12,949	13,908
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	15	72	1,043
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		72	1,043
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	15	1,495	987
სახელშეკრულებო ვალდებულებები	16	9,835	7,803
სავაჭრო ვალდებულებები	17	697	248
საგადასახადი ვალდებულებები		-	6
თანამშრომლების მიმართ ვალდებულებები		7	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		12,034	9,044
სულ ვალდებულებები		12,106	10,087
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		25,055	23,995

შპს „ლგ გრუპი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი, 2020	2	11,331	11,334
პერიოდის მოგება	-	3,112	3,112
დივიდენდის გაცემა	-	(538)	(538)
31 დეკემბერი, 2021	2	13,906	13,908
პერიოდის მოგება	-	509	509
დივიდენდის გაცემა	-	(1,468)	(1,468)
31 დეკემბერი, 2022	2	12,947	12,949

შპს „ლე გრუპი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი, 2020 ¹	2	11,331	11,334
პერიოდის მოგება	-	3,112	3,112
დივიდენდის გაცემა	-	(538)	(538)
31 დეკემბერი, 2021	2	13,906	13,908
პერიოდის მოგება	-	509	509
დივიდენდის გაცემა	-	(1,468)	(1,468)
31 დეკემბერი, 2022	2	12,947	12,949

გენერალური დირექტორი



მალხაზი როსტიაშვილი

შპს „ლგ გრუპი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	შენიშვნა	2022 წ.	2021 წ.
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		723	3,152
კორექტირებები			
ცვეთა და ამორტიზაცია	5; 6	477	611
საპროცენტო ხარჯი	7	160	209
კლება/ზრდა სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	10	(1,814)	414
კლება/ზრდა სავაჭრო მოთხოვნებში	12	639	473
კლება/ზრდა საკონტრაქტო ვალდებულებებში	16	2,032	(3,236)
კლება/ზრდა სავაჭრო ვალდებულებებში	17	(449)	84
კლება/ზრდა გადახდილ ავანსებში	14	437	1,211
კლება/ზრდა საგადასახადო ვალდებულებებში/(აქტივებში)	11	352	544
გადახდილი მოგების გადასახადი		(214)	(40)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		2,343	3,422
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	(371)	(353)
ფულადი ნაკადების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან		(371)	(353)
საფინანსო საქმიანობა			
სესხის აღება	15	2,342	3,857
გაცემული სესხი	9	(470)	(2,906)
გაცემული დივიდენდი		(1,468)	(538)
სესხის გადახდა	15	(2,640)	(4,994)
ფულადი ნაკადების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან		(2,236)	(4,581)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/კლება		(264)	(1,514)
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე		18	(63)
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		254	1,831
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს		8	254

შპს „ლგ გრუპი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	შენიშვნა	2022 წ.	2021 წ.
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		723	3,152
კორექტირებები			
ცვეთა და ამორტიზაცია	5; 6	477	611
საპროცენტო ხარჯი	7	160	209
კლება/ზრდა სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	10	(1,814)	414
კლება/ზრდა სავაჭრო მოთხოვნებში	12	639	473
კლება/ზრდა საკონტრაქტო ვალდებულებებში	16	2,032	(3,236)
კლება/ზრდა სავაჭრო ვალდებულებებში	17	(449)	84
კლება/ზრდა გადახდილ ავანსებში	14	437	1,211
კლება/ზრდა საგადასახადო ვალდებულებებში/(აქტივებში)	11	352	544
გადახდილი მოგების გადასახადი		(214)	(40)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		2,343	3,422
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	(371)	(353)
ფულადი ნაკადების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან		(371)	(353)
საფინანსო საქმიანობა			
სესხის აღება	15	2,342	3,857
გაცემული სესხი	9	(470)	(2,906)
გაცემული დივიდენდი		(1,468)	(538)
სესხის გადახდა	15	(2,640)	(4,994)
ფულადი ნაკადების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან		(2,236)	(4,581)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/კლება		(264)	(1,514)
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე		18	(63)
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		254	1,831
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს		8	254

გენერალური დირექტორი



მალხაზი როსტიაშვილი

შპს „ლგ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს „ლგ გრუპი“ (შემდგომში „კომპანია“) (საიდენტიფიკაციო კოდი: 211328810) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, ვანის ქ., N4. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა შენობა-ნაგებობების შემინვისა და მოპირკეთების სამუშაოების წარმოება.

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 50%-50%-იანი წილის მფლობელები არიან მალხაზი როსტიაშვილი და გიორგი როსტიაშვილი.

2. ფუნქციონირებადი საწარმო

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მოკლევადიანი აქტივები მის მოკლევადიან ვალდებულებებს 1,888 ლარით (2021 წ.: 3,824 ლარი) აღემატებოდა. ხელმძღვანელობა ზრუნავს რომ დაიცვას ჯანსაღი თანაფარდობა მიმდინარე აქტივებსა და ვალდებულებებს შორის. კომპანიის ხელმძღვანელობის მიზანია მიმდინარე ვალდებულებები დარჩეს გონივრული დიაპაზონში მიმდინარე აქტივებთან მიმართებაში.

დღეის მდგომარეობით ყველა ოპერაცია ეფუძნება დაშვებას, რომ საქმიანობა უწყვეტად გაგრძელდება. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და მოახდენს თავისი აქტივების გაყიდვას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეული საქმიანობის პროცესში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

(ა) მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე, წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) სავალუტო ოპერაციები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში – ლარში, რომელიც ასევე არის კომპანიის სამუშაო ვალუტა, ვინაიდან ქართული ლარი იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები თავიდან საწარმოს მიერ აღირიცხება მათ შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ-კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება საანგარიშგებო თარიღში არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ-კურსით. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმოდგარი ნებისმიერი სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

(გ) ამონაგების აღიარება

მრავალეფემენტიანი ხელშეკრულებების დროს კომპანია თითოეულ მომსახურებას ცალკე აღნიშნავს, თუ მათი გამიჯვნა შესაძლებელია. ანაზღაურება გადანაწილდება სხვადასხვა მომსახურებაზე მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასების მიხედვით. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანია ზოგადად აღიარებს შემდეგი ტიპის ამონაგებს:

(i) მზა პროდუქციის მიწოდება

კომპანია, თავის მომხმარებლებს სთავაზობს მრავალი სახის პროდუქციას: მინა-ალუმინის ფასადის სისტემებს, ალუმინის და პლასტმასის კარ-ფანჯრებს, ორმაგის მინის ვიტრაჟებს, მინისა და ალუმინის სხვადასხვა სისტემის მოაჯირებს და ა.შ.

ამონაგებს, რომელიც უკავშირდება მომხმარებლებისთვის მზა პროდუქციის მიწოდებას, კომპანია აღიარებს მოცემული საქონლის მომხმარებლებისთვის გადაცემისას.

(ii) მომსახურებების გაწევა

ამონაგები, რომელიც უკავშირდება მომხმარებლებისთვის შენობა-ნაგებობების შემინვისა და მოპირკეთების სახის მომსახურების გაწევას, არის როგორც მოკლევადიანი ისე გრძელვადიანი ხასიათის და მათი აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც გაიწევა აღნიშნული მომსახურებები.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) სახელშეკრულებო ნაშთი (გაგრძელება)

სახელშეკრულებო აქტივები

სახელშეკრულებო აქტივი წარმოადგენს უფლებას მომხმარებლისთვის გადაცემული საქონლის ან მომსახურებების სანაცვლოდ მისაღებ საფასურზე. თუ კომპანია მომხმარებელს საქონელს ან მომსახურებას

გადასცემს მომხმარებლის მიერ ანაზღაურების გადახდამდე ან გადახდის თარიღის დადგომამდე, სახელშეკრულებო აქტივის აღიარება ხდება პირობითად მიღებული ანაზღაურებისთვის.

სავაჭრო მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენს კომპანიის უფლებას მიიღოს უპირობო საზღაური (ე.ი. მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო საზღაურის გადახდის თარიღის დადგომამდე).

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოადგენს მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის ვალდებულებას, რომლისთვისაც კომპანიას მომხმარებლისგან მიღებული აქვს ანაზღაურება (ან გადახდა მომავალში მოხდება). თუ მომხმარებელი გადახდას განახორციელებს კომპანიის მიერ მისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემამდე, სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება მოხდება ღირებულების გადახდისას ან მისი გადახდის ვადის დადგომისას (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი). სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება ხდება ამონაგებად მაშინ, როდესაც კომპანია გასწევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას

(ე) გადასახადები

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. დივიდენდებზე გადაიხდება მოგების გადასახადი და ის დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები არიან საქართველოში. გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებზე დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია საკუთარი კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) გადასახადები (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სხვა ხარჯებში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ამგვარი ხარჯის გაწევის შემთხვევაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

ამონაგების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ მოთხოვნები და ვალდებულებები მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მოთხოვნის ან ვალდებულების ნაწილში

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. ამიტომ კომპანია ყველა საგადასახადო ვალდებულებასთან და მოთხოვნასთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე წარმოადგენს.

(ვ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად/გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად (გაგრძელება)

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს

(ზ) სავაჭრო მოთხოვნები

კომპანია მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შეფასებისთვის იყენებს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებულ მიდგომას მსს ფასს-ის მიხედვით. კომპანია ვადაგადაცილებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურებას აკეთებს ინდივიდუალურად, დარჩენილი აქტივები უფასურდება ჯგუფურად. ჯგუფურ გაუფასურებაში მოხვედრილი ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება ისტორიული საკრედიტო ზარალის მოსალოდნელი ცვლილებებით განსაზღვრული განაკვეთების მიხედვით. კოლექტიურად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შეფასებისთვის, სავაჭრო მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის მიხედვით.

(თ) სესხები და ნასესხები სახსრები

საწყისი აღიარების შემდეგ პროცენტთან სესხები და ნასესხები სახსრები შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ამორტიზაცია შესულია ფინანსური ხარჯების მუხლში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში

(ი) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. რომელიმე ამგვარი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი და განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(თ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

გამოყენების ღირებულების განსაზღვრისას, შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. ამ გამოთვლების დასაბუთება ხდება შეფასების კოფიციენტებით და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

კომპანია გაუფასურებას დეტალური ბიუჯეტებისა და ფინანსური პროგნოზების საფუძველზე გამოითვლის. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

განგრძობითი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი, მარაგების გაუფასურების ჩათვლით, აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგების ხარჯების კატეგორიებში გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამისად.

აქტივებისთვის ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ფასდება არსებობს თუ არა იმის ნიშნები, რომ ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი შეიძლება აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. ასეთი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას. ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურები ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც მას ექნებოდა ცვეთის გამოკლებით წინა წლებში აქტივის გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული.

(ი) ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება თვითღირებულებით აღირიცხება, დაგროვილი ცვეთის და/ან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯებს გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება აუცილებელი, კომპანია ასეთ ნაწილებს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად კონკრეტული სასარგებლო მომსახურების ვადით და შესაბამისად აღრიცხავს ცვეთას. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ინსპექტირება, მისი ხარჯის აღიარება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ხდება, როგორც ჩანაცვლების ღირებულებისა, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. რემონტისა და ტექმომსახურების ყველა სხვა დანახარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მათი გაწევისთანავე.

შპს „ლგ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ი) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

შენობა-ნაგებობები	25 წლამდე
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	10-25 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	10-20 წელი
ოფისის აღჭურვილობა და სხვა	3-15 წელი

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის დარიცხვის მეთოდები ყოველი ფინანსური წლის დასასრულს გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება.

(კ) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების ან კონვერტაციის ხარჯებს და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეული საქმიანობის პროცესში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და გაყიდვის სავარაუდო ხარჯი.

(ლ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში. კომპანია ფულად სახსრებს ინახავს საქართველოში არსებულ წამყვან ბანკების მიმდინარე ანგარიშებზე. ფულად სახსრები განთავსებულია მიმდინარე ანგარიშებზე და არ ერიცხებათ საპროცენტო შემოსავალი.

(მ) ხელფასი და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები

ხელფასები, წლიური შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

2019 წლის 1 იანვრიდან კომპანიას აქვს სამართლებრივი ვალდებულება, რომ თანამშრომელთა მთლიანი ხელფასებიდან და სხვა გასამრჯელოებიდან 2% სახელმწიფოს საპენსიო სააგენტოს ფონდში გადაიხადოს. კომპანია არ არის პასუხისმგებელი შრომითი საქმიანობის შემდგომ გასამრჯელოებზე.

შპს „ლგ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4. შემოსავალი

	2022 წ.	2021 წ.
შემოსავალი დაუმუშავებელი მასალების რეალიზაციიდან	164	103
შემოსავალი დამსხრელი მინის რეალიზაციიდან	6	457
შემოსავალი მზა პროდუქციის რეალიზაციიდან	12,425	18,438
შემოსავალი მომსახურებიდან	295	237
სხვა შემოსავალი	3	1
სულ შემოსავალი	12,893	19,236

კომპანიამ აღიარა შემოსავალთან დაკავშირებული შემდეგი სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო ვალდებულებები:

	2022	2021
სავაჭრო მოთხოვნები (მე-12 შენიშვნა)	532	1,171
სახელშეკრულებო ვალდებულებები (მე-16 შენიშვნა)	9,835	7,803

5. თვითღირებულება

	2022 წ.	2021 წ.
მზა პროდუქცია	7,128	10,056
პერსონალის ხარჯი	2,029	3,048
ცვეთა და ამორტიზაცია	434	575
მასალები	453	339
მომსახურება	138	208
კომუნალური	240	299
ტრანსპორტირება	77	139
საწვავი	76	89
სხვა ხარჯი	20	12
სულ თვითღირებულება	10,595	14,765

6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022 წ.	2021 წ.
სახელფასო ხარჯი	1,004	884
საგადასახადო ხარჯი	72	82
კომუნალური ხარჯები	27	22
დაზღვევის ხარჯი	6	43
საკონსულტაციო ხარჯი	38	3
ცვეთის ხარჯი	43	3
სხვა ხარჯი	91	38
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	1,281	1,075

შპს „ლგ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

7. სხვა ხარჯები/შემოსავალი

სხვა შემოსავლები	2022 წ.	2021 წ.
ფინანსური შემოსავალი	211	119
იჯარიდან შემოსავალი	16	14
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან და Covid-19 ის შედეგად	38	151
სულ სხვა შემოსავალი	265	284
ფინანსური ხარჯი	160	355
გაუფასურების ხარჯი მარაგებზე	135	-
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის შექმნილი ანარიცხი	280	91
სხვა	2	84
სულ სხვა ხარჯი	577	530

შპს „ლგ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

8. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა	მანქანა - დანადგარები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ძირითადი საშუალებები	დაუმთავრებელი აქტივები	სულ
ღირებულება						
ბალანსი 31.12.2020	3,361	7,800	93	217	-	11,471
შეძენა	38	43	3	21	327	432
ჩამოწერა	-	(178)	-	(23)	-	(201)
ბალანსი 31.12.2021	3,399	7,665	96	215	327	11,702
შეძენა	150	135	62	23	1	371
ჩამოწერა	-	-	(57)	(55)	-	(112)
ბალანსი 31.12.2022	3,549	7,800	101	183	328	11,961
ცვეთა						
ბალანსი 31.12.2020	324	2,417	40	107	-	2,888
ცვეთა	73	507	7	29	-	616
ჩამოწერა	-	(107)	-	(22)	-	(129)
ბალანსი 31.12.2021	397	2,817	47	114	-	3,375
ცვეთა	74	499	3	24	-	600
ჩამოწერა	-	-	(38)	(51)	-	(89)
ბალანსი 31.12.2022	471	3,316	12	87	-	3,886
ნარჩენი ღირებულება						
ბალანსი 31.12.2020	3,037	5,383	53	110	0	8,583
ბალანსი 31.12.2021	3,002	4,848	49	101	327	8,327
ბალანსი 31.12.2022	3,078	4,484	89	96	328	8,075

შპს „ლგ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

9. გაცემული სესხები

2021 წლის 1 აპრილს, შპს „ლგ გრუპი“ იღებს ვალდებულებას გასცეს სესხი 4,000,000 ლარის ოდენობით შპს „არაგვი რეზორტზე“; წლიური საპროცენტო სარგებელი 10 პროცენტი, სესხის ვადა 96 თვე. გაცემული სესხი 2021 წელს შეადგენს 2,799 ლარს, ხოლო მისაღები პროცენტები 107 ლარს. გაცემული სესხი 2022 წელს შეადგენს 3,058 ლარს, ხოლო მისაღები პროცენტები 318 ლარს.

10. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
მასალები	8,093	8,252
მზა პროდუქცია	3,064	1,294
წარმოება	135	21
სხვა მასალები	122	33
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	11,414	9,600

2022 წლის განმავლობაში კომპანიამ აღრიცხა 135 ლარის ოდენობით მოძველებული მარაგების გაუფასურება (2021 წ.: 0 ლარი).

11. საგადასახადო აქტივები

საგადასახადო აქტივის ძირითადი ნაწილი მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო აქტივი შეადგენს 1,315 ლარს. ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 957 ლარს. ასევე კომპანიას ჰქონდა 214 ლარის მოგების გადასახადის ხარჯი გაცემულ დივიდენდზე.

12. სავაჭრო მოთხოვნები

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
სავაჭრო მოთხოვნები	2,619	2,980
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი	(2,087)	(1,809)
ნეტო სავაჭრო მოთხოვნები	532	1,171

სავაჭრო მოთხოვნის ნაშთები საკრედიტო ხარისხის მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

31.12.2022	<30	31-60	61-90	91-180	181-360	>360	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები რეზერვამდე	425	48	14	16	69	2,047	2,619
რეზერვის პროცენტი	-	2%	5%	25%	50%	100%	
რეზერვის თანხა	-	1	1	4	34	2,047	2,087

შპს „ლგ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

31.12.2022	<30	31-60	61-90	91-180	181-360	>360	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები რეზერვამდე	885	48	52	155	150	1,690	2,980
რეზერვის პროცენტი	-	2%	5%	25%	50%	100%	
რეზერვის თანხა	-	1	3	40	75	1,690	2,087

13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	-	-
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	8	253
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	-	1
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	8	254

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

14. გადახდილი ავანსები

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
გადახდილი ავანსები უცხოური მომწოდებლების მიმართ	301	738
გადახდილი ავანსები რეზიდენტი მომწოდებლების მიმართ	1	1
სულ გადახდილი ავანსები	302	739

15. ნასესხები სახსრები

	2022 წ	2021 წ
1 იანვარი	2,030	3,109
სესხის აღება	2,342	3,515
სესხის დაფარვა	(2,533)	(4,441)
საპროცენტო ხარჯი	113	209
გადახდილი პროცენტი	(115)	(211)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა	(270)	(152)
31 დეკემბერი	1,567	2,030

შპს „ლგ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

16. სახელშეკრულებო ვალდებულებები

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
სახელშეკრულებო ვალდებულებები	9,835	7,803
სულ სახელშეკრულებო ვალდებულებები	9,835	7,803

სახელშეკრულებო ვალდებულებები მოიცავს მომხმარებლისგან მიღებული ავანსების თანხებს. ზოგიერთი მომხმარებლის მიერ გადახდილი ავანსი დაზღვეულია ბანკის საავანსო გარანტიებით, რომელიც უზრუნველყოფს კონტრაქტორს ავანსად გაცემული თანხის დაბრუნებით იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელმა არადანიშნულებისამებრ განკარგა მიღებული თანხა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში იხილეთ დეტალური ინფორმაცია სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ:

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
მიღებული ავანსები უცხოურ ვალუტაში	9,807	7,780
მიღებული ავანსები ეროვნულ ვალუტაში	28	23
სულ მიღებული ავანსები	9,835	7,803

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
იურიდიული პირები	7,688	6,323
ფიზიკური პირები	2,147	1,480
სულ სახელშეკრულებო ვალდებულებები	9,835	7,803

17. სავაჭრო ვალდებულებები

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
სავაჭრო ვალდებულებები	697	248
სულ სავაჭრო ვალდებულებები	697	248

სავაჭრო ვალდებულებების ძირითადი ნაწილი დაკავშირებულია კომპანიის საქმიანობისთვის საჭირო სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენასთან, როგორც რეზიდენტი ასევე არარეზიდენტი მომწოდებლებისაგან.

შპს „ლგ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

დეტალური ინფორმაცია სავაჭრო ვალდებულებების ჩაშლასთან დაკავშირებით იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
ვალდებულებები რეზიდენტი მომწოდებლების მიმართ	423	148
ვალდებულებები არარეზიდენტი მომწოდებლების მიმართ	201	42
კომუნალურებთან დაკავშირებული ვალდებულებები	39	37
ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ვალდებულებები	18	1
საკონსულტაციო და სხვა ვალდებულებები	12	12
სხვა სავაჭრო ვალდებულება	4	8
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	697	248

18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები და ნაშთები

ოპერაციები და ნაშთები	გაცემული სესხები	საპროცენტო შემოსავალი
2022		
შპს „არაგვი რეზორტი“	3,058	318
2021		
შპს „არაგვი რეზორტი“	2,799	107

18.2 უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის (წარმოდგენილი გენერალური დირექტორების სახით) მთლიანი ანაზღაურება 2022 წელს მოიცავდა დასაქმებულთა გასამრჯელოებს 209 ლარის ოდენობით (2021 წ.: 186 ლარი).

19. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები და ნაშთები

ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოიცავდა სავაჭრო ვალდებულებებს, ნასესხებ თანხებს, საკონტრაქტო ვალდებულებებს.

კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის შემდეგი ძირითადი რისკებია დამახასიათებელი: საკრედიტო, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკები. კომპანიას ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკების კონტროლის პოლიტიკა არ აქვს.

კომპანიას მიაჩნია, რომ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური ინსტრუმენტების თანხები მათ სამართლიან ღირებულებათა გონივრული შეფასებაა მათი მოკლევადიანი ხასიათიდან გამომდინარე.

შპს „ლგ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ორგანიზაციას ფინანსური ზარალი მიაღება. კომპანიას საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობის (სავაჭრო მოთხოვნებისა, გაცემული სესხებისა და გადახდილი ავანსების გამო) და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებსა და საფინანსო დაწესებულებებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშებიდან გამომდინარე.

კომპანიის საკრედიტო რისკის მოცულობას წარმოადგენს სავაჭრო მოთხოვნების, გაცემული სესხების, გადახდილი ავანსების და ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საერთო ნაშთი 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის შექმნილი ანარიცხით შემცირებული სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი ყველაზე ზუსტად ასახავს იმ სავაჭრო მოთხოვნების მოცულობას, რომლის ამოღებაც მოსალოდნელია.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილის საქართველოს წამყვან ბანკებში განთავსებით. კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივ რეჟიმში აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, რომლებშიც განთავსებულია ფულადი სახსრები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ძირითადი ვალუტების კურსების მერყეობა.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია კომპანიის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დასაბეგრი მოგების მგრძნობელობა აშშ დოლარის გაცვლითი კურსის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვალებადობის მიმართ, როცა ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია (ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებების გამო).

		სავალუტო კურსის	ეფექტი	
		ზრდა/(კლება), %	მოგებაზე	ეფექტი მოგებაზე
2022	აშშ დოლარი	19%/(19%)	(102)	102
2021	აშშ დოლარი	14%(14%)	(87)	87

ლიკვიდობის რისკი

კომპანია ფულადი სახსრების დეფიციტის რისკს აკონტროლებს ფულადი ნაკადების მოსალოდნელი გასვლის და შემოსვლის ანალიზით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

20. რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

კომპანია თავისი ფულადი სახსრების დანაკლისის რისკს აკონტროლებს წმინდა მიმდინარე ფინანსური დავალიანების მაჩვენებლების რეგულარული გადამოწმებით. წმინდა მიმდინარე ფინანსური დავალიანება წარმოადგენს მთლიან მიმდინარე ვალდებულებებსა და მიმდინარე აქტივებს შორის სხვაობას.

სამართლიანი ღირებულება

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება საანგარიშგებო თარიღისთვის მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებებისგან მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო.

მმართველობითი ანგარიშგება - ბიზნესის მიმოხილვა

1. კომპანიის ისტორია, განვითარება და პოზიცია ბაზარზე

ზოგადი ინფორმაცია: შპს ლგ გრუპი საქართველოში მინის, ალუმინის და ქვის ფასადების მწარმოებელი ერთერთი დიდი კომპანიაა.

შპს ლგ გრუპი დაარსდა 1996 წლის 20 სექტემბერს. კომპანია უმეტესწილად ოპერირებს ადგილობრივ ბაზარზე. მისი ძირითადი საქმიანობაა შენობა-ნაგებობების შემინვისა და მოპირკეთების სამუშაოების წარმოება.

შპს ლგ გრუპის გადაიარაღება და თანამედროვე მანქანა-დანადგარებით აღჭურვა მოხდა 2016 – 2017 წლებში, რამაც დახვეწა და საგრძნობლად გააუმჯობესა მომსახურეობის ხარისხი. მანქანა-დანადგარების იმპორტირება განხორციელდა იტალიიდან და ისრაელიდან. მოცემულ ეტაპზე კომპანია უმაღლესი ხარისხის მომსახურეობას უწევს სხვადასხვა სამშენებლო კომპანიებს. შპს ლგ გრუპი წარმოადგენს ისეთი ცნობილი სამშენებლო კომპანიების ქვეკონტრაქტორს, როგორებიცაა შპს ანაგი, შპს ალიანსი ფრივილიჯი, შპს ელიტა ბურჯი, შპს ალიანსი, შპს ლისი დეველოპმენტი, შპს აქსის კონსტრაქშენი, შპს ჭავჭავაძე 49 და სხვა.

შპს ლგ გრუპს გააჩნია საქართველოში წარმატებულად ფუნქციონირების 26 წლის ისტორია.

კომპანია ძირითადი ნედლეულისა და მასალების იმპორტირებას ახდენს ნორვეგიიდან, ბელგიიდან, ჩეხეთიდან, ლატვიიდან, ისრაელიდან, თურქეთიდან, უკრაინიდან და რუსეთიდან. იგი შემინვისათვის იყენებს მსოფლიოში აღიარებული ამერიკული მინის მწარმოებელი კომპანიის GUARDIAN GLASS-ის მინას, ხოლო პროფილებისათვის კი - ბელგიური REYNAERS-ისა და ნორვეგიული SAPA-ს ალუმინს.

შპს ლგ გრუპს აქვს სამი ქარხანა ქ. თბილისში. მინის დამუშავება ხდება სარაჯიშვილის გამზირზე მდებარე ქარხანაში, ალუმინის ჭრა და პროფილების აწყობა ვანის და ანდრონიკაშვილის ქუჩაზე, ხოლო ქვის დამუშავება კი ანდრონიკაშვილის ქუჩაზე მდებარე ქარხანებში.

კომპანიას გააჩნია 2018 წლის 30 იანვრით დათარიღებული გერმანული კომპანია TÜV SÜD Management Service GmbH-ის მიერ გაცემული მენეჯმენტის ხარისხის სერთიფიკატი ISO 9001:2015

ფინანსური მაჩვენებლები:

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	2022 წ.	2021 წ.
შემოსავალი	4	12,893	19,236
თვითღირებულება	5	(10,595)	(14,765)
საერთო მოგება		2,298	4,471
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1,281)	(1,075)
საოპერაციო მოგება		1,017	3,396
სხვა ხარჯები	7	(577)	(530)
სხვა შემოსავალი	7	265	284
მოგება/ზარალი საკუთროს სხვაობიდან		18	2
მოგება დაბეგვრამდე		723	3,152
მოგების გადასახადი		(214)	(40)
წლის წმინდა მოგება		509	3,112

ფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	8,075	8,327
გრძელვადიანი გაცემული სესხი	9	3,058	2,799
არამატერიალური აქტივები		-	1
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,133	11,127
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	10	11,414	9,600
საგადასახადო აქტივები	11	1,315	957
სავაჭრო მოთხოვნები	12	532	1,171
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	8	254
გაცემული სესხი	9	318	107
გადახდილი ავანსები	14	302	739
წინასწარ გადახდილი მომსახურება		33	40
სულ მოკლევადიანი აქტივები		13,922	12,868
სულ აქტივები		25,055	23,995
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2	2
გაუნაწილებელი მოგება		12,947	13,906
სულ საკუთარი კაპიტალი		12,949	13,908
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	15	72	1,043
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		72	1,043
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	15	1,495	987
სახელშეკრულებო ვალდებულებები	16	9,835	7,803
სავაჭრო ვალდებულებები	17	697	248
საგადასახადი ვალდებულებები		-	6
თანამშრომლების მიმართ ვალდებულებები		7	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		12,034	9,044
სულ ვალდებულებები		12,106	10,087
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		25,055	23,995

2. განვითარების გეგმები

კომპანიის კორპორაციულ სტრატეგია კლიენტზე ანუ საბოლოო მომხმარებელზე ორიენტირებული იმიჯისა და სტრატეგიის შემუშავებაა, რაც მოიცავს როგორც გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმარებას, ასევე ოპერატიული ამოცანების ისე განსაზღვრას, რომ შეესატყვისებოდეს გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებსაც. კომპანიის ფილოსოფიას წარმოადგენს ის, რომ ჩვენ ვაწარმოებთ და ვყიდით არა ცალკეულ პროდუქტებს, არამედ სისტემებს.

ვინაიდან კომპანიას გააჩნია ქვის დამამუშავებელი თანამედროვე მანქანა-დანადგარები, მომავლისთვის ვფიქრობთ ადგილზე მოვიპოვოთ და მაღალ დონეზე დავამუშავოთ ტუფის ქვა, რათა იგი აქტიურად გამოვიყენოთ შენობა-ნაგებობების მოსაპირკეთებელ სამუშაოებზე.

3. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ფილიალები. მომსახურების გასაწევად გამოიყენება თბილისში არსებული ქარხნები და შესაბამისი საწყობები.

4. ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

2022-2021 წლების ფინანსური მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებლები და განმარტებები ცვლილებების შესახებ იხილეთ სექციაში „ფინანსური მაჩვენებლები“.

ჯამურ რეალიზაციაში ადგილობრივ ბაზარზე გაწეული მომსახურების ღირებულების წილი შეადგენს 100 %-ს. თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2022-2021 წლებში შესაბამისად შეადგენდა 120 და 140 დასაქმებულს. დასაქმებულთა საერთო რაოდენობიდან მხოლოდ 14 ქალია.

შპს ლგ გრუპის სამარკო ნიშანია 26 წლის მანძილზე მისი ეტაპობრივად განვითარება და სტაბილურობა ბაზარზე, მომსახურების მიწოდების სისწრაფე და მაღალი ხარისხი.

5. რისკების მიმოხილვა

საკრედიტო რისკი.

საკრედიტო რისკი კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობას გულისხმობს.

მომსახურების მიწოდებისას ზოგიერთ კომპანიასთან მიღწეულია საბანკო გარანტიით თანამშრომლობა, დანარჩენებთან დამოკიდებულებაში ძირითადად მუშაობს წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ნდობის ფაქტორი.

საექვო ვალების და მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია მუშავდება და კონტროლდება გაყიდვების სამსახურის, ფინანსებისა და იურიდიული სამსახურების მეშვეობით.

პროდუქციის რისკი

რისკები ძალზე იშვიათად დაკავშირებულია მომსახურების მიწოდების ვადებთან. შეძენილი ნედლეულისა და მასალების დაძველება როგორც წესი არ ხდება და შესაბამისად, ვარგისიანობის ვადის გასვლის რისკები უმნიშვნელო და არარსებელია.

რისკები დაკავშირებულია სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისას მინის გაბზარვასთან და მსხვრევასთან. ასეთ შემთხვევებში ხდება კლიენტისათვის მინის გამოცვლა და შესაბამისი ზარალის აღება კომპანიის მიერ.

სავალუტო რისკი

დღევანდელ პირობებში რისკის ერთ ერთი მნიშვნელოვანი სახეა სავალუტო რისკი. ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო პოტენციური ზარალის რისკი არსებობს, რაც იწვევს ასევე, ფასების ზრდას და შემოსავლების შემცირებას. სხვა რისკები. არსებობს არასტაბილური პოლიტიკური გარემოს შექმნის რისკიც, რაც არ არის უშუალოდ კომპანიის საქმიანობიდან შექმნილი.

20 მაისი 2024 წ.

დირექტორი მ. როსტიაშვილი

ფინანსური დეპ. უფროსი ა. ალიმბარაშვილი

სავალუტო რისკი

დღევანდელ პირობებში რისკის ერთ ერთი მნიშვნელოვანი სახეა სავალუტო რისკი. ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო პოტენციური ზარალის რისკი არსებობს, რაც იწვევს ასევე, ფასების ზრდას და შემოსავლების შემცირებას. სხვა რისკები. არსებობს არასტაბილური პოლიტიკური გარემოს შექმნის რისკიც, რაც არ არის უშუალოდ კომპანიის საქმიანობიდან შექმნილი.

20 მაისი 2024 წ.



დირექტორი მ. როსტიაშვილი

ფინანსური დეპ. უფროსი ა. ალიმბარაშვილი

მ. როსტიაშვილი
ა. ალიმბარაშვილი